დანართი N1

ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი"

სენაკი, რუსთაველის 237 **მობ: 577451110; 0413 27 54 41. ს/კ. 239892452**
axalgazrdobisadakulturiscentri@gmail.com **vip.natia1976 @gmail.com**

№9 25 იანვარი 2024 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერს

ბ-ნ ვახტანგ გადელიას

ბატონო ვახტანგ,

თქვენი 24.01.2024წლის №40-402402414 მომართვის პასუხად გეგზავნებათ ანგარიში ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი"-ს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

დანართი 25 (ოცდახუთი) ფურცელი.

პატივისცემით,

ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი"-ს დირექტორის მ/შ: ნ. ეჯიბია

ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი"

2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

შინაარსი

1. გაწეული მომსახუხურება და შედეგები;
2. სკოლისგარეშე შემოქმედებითი და საგანმანათლებლო მომსახურება: ბიბლიოთეკები, მუზეუმები, კულტურის სახლი, სოფლის კლუბები, სახვითი ხელოვნების გალერეა და მემორანდუმის საფუძველზე შექმნილი ფოლკლორის ცენტრის ფილიალი.
3. ღონისძიებები და პროექტები.
4. ფინანსური ანგარიში.

1. გაწეული მომსახურება და შედეგები

წლის განმავლობაში მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი კოორდინაციაში იყო მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან, რომელიც თანამედროვე პრაქტიკის გათვალისწინებით, ახალგაზრდებს თავისუფალ და არაფორმალურ გარემოში, მრავალფეროვან და შემოქმედებით სერვისებს სთავაზობს. ცენტრი მუდმივად კოორდინაციას უწევს მასში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს, რომელიც მოიცავს: 16 ბიბლიოთეკას, მათ შორის 1 ცენტრალური, 15 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი ბიბლიოთეკა, ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თეოფანე დავითაიას სახელობის მუზეუმი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის მუზეუმი, კულტურის სახლი, 2 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი კლუბი, სახვითი ხელოვნების გალერეა, ფოლკლორის ცენტრის ფილიალი.

მოსწავლე -ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში დასაქმებულია 112 ადამიანი. მათ შორის 6 ადმინისტრაცია, 99 სპეციალისტი და 7 შტატგარეშე თანამშრომელი.

2023/2024 სასწავლო წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ჩარიცხულია 331 მოსწავლე.

ცენტრში ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:

1. მხატვრული კითხვის სექცია-13;
2. ეკოლოგიისა და ეკოტურიზმის სექცია- 8;
3. საესტრადო საკრავების ინსტრუმენტთა სწავლების სექცია-15
4. სპორტული ცეკვების სწავლების სექცია-0
5. ქართული ხალხური ცეკვების სწავლების სექცია:
   პედაგოგი თ.გუგუნავა- 50
   პედაგოგი გ.კორშია -137
6. საესტრადო სიმღერების სწავლების სექცია- 23
7. საესტრადო მუსიკალური ბენდი ,,აკუსტიკა'' – 6
8. საბავშვო თეატრალური სკოლა სტუდია- 28;
9. ახალგაზრდული თეატრი-11
10. ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,კოლხი''- 20
11. ტურიზმის განვითარების სექცია - 17
12. წიგნის მოყვარულთა სექცია-3

ჩარიცხული მოსწავლეებიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის მოთხოვნის შესაბამისად , (შეღავათების პროგრამა) გადასახადიდან განთავისუფლებულია 42 სოციალურად დაუცველი მოსწავლე, სწავლის საფასური გაუნახევრდა 12 დევნილს და ერთი ოჯახიდან 83 და-ძმას, ასევე ცენტრში ირიცხება 2 შშმ მოსწავლე.

სოციალური დასაქმების სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დასაქმებულია 30 ბენეფიციარი.

ანსამბლები და მათი მიღწევები

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში ფუნქიონირებს 3 ანსამბლი:

1. ,,კოლხური ტრიო''
2. ფოლკლორული ანსამბლი ,,ეგრისი''
3. ვაჟთა ანსამბლი ,,მუსიკელი''

ანსამბლმა ,,კოლხურმა ტრიომ'' წლის მანძილზე არაერთ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის იყო მიწვევები სხვადასხვა ქალაქებიდან. მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობა ტრადიციული მუსიკის ფესტივალ ,,ნანინაში'', ასევე მათი მონაწილეობა პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის მე-3 საერთაშორისო ფესტივალზე.

აღსანიშნავია , რომ ამა წლის 4 ივლის გაიმართა ანსამბლ ,,ეგრისის'' შემოქმედებითი საღამო, ხოლო ვაჟთა ანსამბლ ,,მუსიკელი'' გასტროლებით იმყოფებოდ დიდ ბრიტანეთში, ესტონეთსა და ბალტიისპირა ქვეყნებში, სადაც ქართული მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით ჩაატარეს

არაერთი კონცერტი და მასტერკლასი, ხოლო 9 ოქტომბერს დიმიტრი ჯაიანის სახელობის დარბაზში გაიმართა ანსამბლ ,,მუსიკელის'' სოლო კონცერტი.

უნდა აღინიშნოს ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,კოლხის'' მონაწილეობა რესპუბლიკურ ფესტივალზე ,,ხომლი 2023'', ,,ცეკვის ფესტივალი თელავში'' და სხვადასხვა ფესტივალებზე, სადაც ანსამბლმა მოიპოვა ლაურეატის წოდება და ნინო რამიშვილის სახელობის დიპლომი.

საესტრადო სიმღერების ანსამლ ,,ოქროს ნოტები'' ხელმძღვანელი სალომე ბერიშვილი მონაწილეობდა კონკურს ფესტივალ ,, TV-100 -ის ვარსკვლავი'', სადაც 4 კონკურსანტი გახდა პირველი ადგილის მფლობელი შესაბამის ასაკობრიბ ჯგუფში, ხოლო გუნდმა მოიპოვა გრან-პრი და ბულგარეთის ფესტივალზე მიწვევა.

2. საგანმანათლებლო/შემეცნებითი მომსახურება

2.1 ბიბლიოთეკები

მოგახსენებთ რომ მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის შემადგენლობაში შედის ბიბლიოთეკები, რომლებიც დაკომპლექტებულია შესაბამისი განათლების მქონდე კადრებით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი პირველ რიგში იმისთვის იქმნება, რომ ემსახუროს წიგნიერებას და წიგნის პოპულარიზაციას. ახორციელებს სკოლისგარეშე საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებს.

დღეისათვის ბიბლიოთეკის სტრუქტურულ ერთეულს შეადგენს აბონემენტი, საბავშვო ფონდი, საცნობარო ბიბლიოგრაფიული,კულტურული პროგრამების სექტორი და დამუშავება დაკომპლექტების სექტორი.

მათ გააჩნიათ მუშაობისა და ღონისძიებების ჩატარების წლიური სამუშაო გეგმა, რომელთა შესრულებას აკონტროლებს ადმინისტრაცია.

საჯარო ბიბლიოთეკის ორგანიზებით ჩატარდა 29 თემატური ღონისძიება, 20 გამოფენა და ყოველწლიური საბიბლიოთეკო კვირეული. კვირეულის ფარგლებში სერთიფიკატები გადაეცათ აქტიურ ბიბლიოთეკარებს.

ცენტრის დაფინანსებით ბიბლიოთეკარებმა გაიარეს ტრენინგ კურსები, რომელიც ჩაატარა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ, ასევე ზუგდიდის ბიბლიოთეკების მართვის ცნტრმა საჯარო ბიბლიოთეკარებისთვის ჩაატარა ორდღიანი ტრენინგი. ასევე საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ტრენინგი ეროვნული ბიბლიოთეკის ჩართულობით, რომელიც დასრულდა 5 დეკემბერს და საჯარო ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა 900 ლარიანი ვაუჩერი.

ცენტრში შემავალი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი მუდმივად იზრდება. მიმდინარე წელს შეძენილ იქნა 4840 ლარის წიგნი და 4040 ლარის ჟურნალ გაზეთები.

2023 წლისთვის წიგნადი ფონდი შეადგენს 161152 წიგნს, აქედან საჯარო ბიბლიოთეკაში განთავსებულია 53069 წიგნი, მათ შორის საბავშვო ბიბლიოთეკის ფონდში ირიცხება 12028 .

ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსებულ ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი შეადგენს 108083 წიგნს.

2.2 მუზეუმები

როგორც მოგეხსენებათ მუზეუმი შესწავლის, განათლების მიზნით ან ვიზუალური სიამოვნებისთვის იძენს, ინახავს,იკვლევს და გამოჰფენს ადამიანთა შემოქმედებისა და მათი გარემოს აღმწერ ფაქტებზე არსებულ მნიშვნელოვან მასალას. სწორედ ამ დანიშნულებას ასრულებს ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თეოფანე დავითაიას სახელობის მუზეუმი და არნოლდ ჩიქობავას სახელობის მუზეუმი.

მიმდინარე წელს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ეწვია 1043 დამთვალიერებელი, ჩატარდა 9 ღონისძიება. მუზეუმს საჩუქრად გადაეცა 368 ნივთი. ამ დროისთვის მუზეუმის ფონდში ირიცხება 6481 ნივთი.

ჟიული შარტავას სახელობის მუზეუმს ესტუმრა 1043 ვიზიტორი. ჩატარდა 3 მნიშვნელოვანი ღონისძიება.

2.3 სახვითო ხელოვნების გალერეა

სახვითი ხელოვნების გალერეა ემსახურება სხვადასხვა თაობის მხატვრების შემოქმედების საზოგადოებისათვის გაცნობას, სადაც დამთვალიერებლებს შეუძლიათ მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია წარმოდგენილი ნამუშევრებისა და მათი ავტორების შესახებ.

სახვითი ხელოვნების გალერეაში ჩატარდა 6 გამოფენა და საერთო ჯამში დამთვალიერებელთა რაოდენობამ შეადგინა 1250.

ფონდში ინახება 313 ექსპონატი, წელს გალერეას საჩუქრად გადაეცა 13 ექსპონატი .

აღსანიშნავია ლადო გუდიაშვილის ტილოს ,,ზემო ქართლში'' გაელერაში დაბრუნება 30 წლის მერე, რომელიც მერიის სრული დაფინანსებით და მხარდაჭერით განხორციელდა.

3. ღონისძიებები და პროექტები

ცენტრში ყოველწლიურად ახალგაზრდები სხვადასხვა ფორმით და მეთოდით, სკოლისგარეშე და დამატებით განათლებას იღებს. მასში არსებული საგანმანათლებლო სერვისები მრავალფეროვანია და კონკრეტულ მიზნებს ეფუძნება.

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სექციები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, გალერეა, კლუბები, ფესტივალები და სხვა აქტივობები მოზარდებში ზრდის სამოქალაქო თვითშეგნებას, ხელს უწყობს თავისუფალი, შემოქმედებითი თუ სხვა უნარების განვითარებას, თვითრეალიზაციასა და სამომავლო პროფესიების შერჩევას. კულტურის ცენტრი, როგორც ახალგაზრდებისათვის მნიშვნელოვანი კულტურულ - საგანმანათლებლო ცენტრი, მიზნად ისახავს ახალ თაობას ღირსეული პარტნიორობა გაუწიოს და ამით ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

2023 წლის 1 იანვრიდან ცენტრში ჩატარდა არაერთი ღონისძიება, მათ შორის აღსანიშნავია ახლადრეაბილიტირებული შენობის საზეიმოდ გახსნისადმი მიძღნილი ღონისძიება/კონცერტი, საბავშვო თეატრალური დასის მონაწილეობით სპექტაკლი ,HELLADOS-გაკვეთილის'' პრემიერა, 1 ივნისი -ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი მაშტაბური ღონისძიება, ფერების ფესტივალი, ეგრისობა

პირველად ცენტრის ორგანიზებით გახორციელდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?'', სადაც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტში არსებული ქალაქისა და ადნმინისტრაციულ ერთეულების კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. უნდა აღინიშნოს, ზემოთხსენებული პროექტი გაიმართება ყოველწლიურად.

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ღონისძიებების საერთო რაოდენობამ შეადგინა 88.

დანართი:1 ღონისძიებების ჩამონათვალი.

ჩატარებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები

მუნიციპალიტეტის პროექტის ფარგლებში, წლების შემდეგ , პირველად სრულიად განახლდა მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის შენობის ფასადი, სარეპეტიციო დარბაზი გასახდელებითა და სველი წერტილებით.

მერიის დაფინანსებით ასევე გალერეის შენობაში შეიცვალა 3 გარე რკინის კარი და 1 შიდა კარი. შენობაში სრულად განახლდა განათება, ხოლო მუზეუმი და საჯარო ბიბლიოთეკა აღიჭურვა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტით.

4. ფინანსური ანგარიში

დანართი: 2

დანართი 1

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში
ჩატარებული
კულტურული ღონისძიებები
(2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით)

N	ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა	ჩატარების თარიღი	ჩატარების ადგილი	დახარჯული თანხა	შენიშვნა
1	მუნიციპალიტეტში გამართულ საშობაო ალილოზე მონაწილეობა	7 იანვარი	სენაკის მუნიციპალიტეტი	0	
2	საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე	14 იანვარი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი	0	
3	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობა საახალწლო კონცერტზე	17 იანვარი	სენაკის მუნიციპალიტეტი	0	
4	წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე	1 თებერვალი	სენაკის მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკა	0	

5	ანსამბლი ,,მუსიკელის'' გასტროლები ლატვიასა და ლიეტუვაში	28 თებერვალი	ლატვია და ლიეტუვა	0	
6	სენაკელი არქიტექტორის, მხატვარ ზაზა ჯანჯღავას პერსონალური გამოფენა	2 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების გალერეა	0	
7	,,ქალი, მზე, სიყვარული''	2 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკა	87,50 ლარი	
8	ჟიული შარტავას ცხოვრების ამსახველი ფოტო და პერიოდული პრესის გამოფენა	6 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკა და შარტავას მუზეუმი.	56 ლარი	
9	საქართველოს ეროვნული გმირის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის- ჟიული შარტავას დაბადებიდან 79 წლის თავის აღნიშვნა	7 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი	50 ლარი	
10	აქტივობა- დედისა და ქალის დღე	7 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი	486 ლარი	

11	ტურისტული კლუბის წევრები სტუმრად მუზეუმებში	14 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტის ჟიული შარტავასა და მისისვე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	0	
12	,,მზის შვილების'' დღის აღნიშვნა	21 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი ბავშვთა გასართობი ცენტრი ,,ვარსკვლავები''	400 ლარი	
13	,,ვიცნობდეთ ჩვენი კუთხის ისტორიას'' ფარგლებში სენაკის N 2 და N3 სკოლის მოსწავლეები სტუმრად მუზეუმებში	22 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიები	0	
14	გამოჩენილი ქართველი ებრაელის,საზოგადო მოღვაწის, მთარგმნელის, პოეტის, ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 79 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება	23 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტის სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	0	

15	საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმიდან 32-ე წლისთავისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო	31 მარტი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა კულტურის ცენტ	0	
16	34 წელი 9 აპრილის ტრაგედიიდან - მუნიციპალიტეტში დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობა	11 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი	247 ლარი	
17	ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტირებული შენობის საზეიმოდ გახსნა	11 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი დ. ჯაიანის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის დარბაზი	2615,30 ლარი	
18	დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები	12 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო და საბავშვო ბიბლიოთეკები	51 ლარი	
19	კონცერტი ,,გაზაფხულის ზეიმი''	12-13 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა კულტურის ცენტრის დ.ჯაიანის სახელობის დარბაზი	305 ლარი	
20	დედაენის დღისა და სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირულ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი კომპოზიცია ,,მამული, ენა, სარწმუნოება''	20 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა კულტურის ცენტრის დ.ჯაიანის სახელობის დარბაზი	0	

21	ტურისტული კლუბის წევრები სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრსა და ქალაქის პარკში მდებარე კუბს ესტუმრნენ	21 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	0	
22	დედამიწის დღესათან დაკავშირებით დასუფთავების აქცია გაიმართა	22 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორია	0	
23	პროექტ ,,ვიცნობდეთ ჩვენი კუთხის ისტორიას'' ფარგლებში ფოცხოს თემის ისტორიის პრეზენტაცია	25 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტი ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	0	
24	ნორვეგიელი მხატვრის, ჰელა ედენის პერსონალური გამოფენა	27 აპრილი	სენაკის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების გალერეა	0	
25	ანსამბლ ,,კოლხური ტრიოს'' მონაწილეობა ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის ფესტივალ ,,ნანინაში''	2 მაისი	თბილისი	300 ლარი	
26	საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნა	3 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	365,80	
27	ანსამბლი ,,მუსიკელი'' სტუმრად აჭარის სატელევიზიო გადაცემაში ART ექსპერტი	3 მაისი	აჭარის სატელევიზიო გადაცემა ART ექსპერტი	0	

28	ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,კოლხის'' მონაწილეობა ქორეოგრაფიული ანსამბლების პირველ რესპუბლიკურ ფესტივალზე ,,ხომლი 2023''	6 მაისი	ცაგერის მუნიციპალიტეტი ,,მწვანე თეატრი''	700 ლარი	
29	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის თეატრალური დასის მონაწილეობით სპექტაკლი ,,HELADOS-გაკვეთილის'' პრემიერა	8-9 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დ. ჯაიანის სახელობის დარბაზი	2016,50	
30	საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები	12 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი საბავშვო და ადმინისტრაციული ერთეულების ბიბლიოთეკები	0	
31	საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვა	15 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	70 ლარი	
32	ანსამბლი ,,მუსიკელის'' ხანგრძლივი ტურნე	მაისი	დიდი ბრიტანეთი		

33	სენაკის საპატიო მოქალაქე, ექიმი და საზოგადო მოღვაწე პაატა ქურდოვანიძე რუბრიკით ,,ერთი ოჯახის ისტორია''	17 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	0	
34	მუზეუმების საერთაშორისო დღე და ეროვნული სამოსის დღე	18 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორია	1732 ლარი	
35	სემინარი თემაზე: ,,რა არის ლაშქრობა''	22 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი სენაკის სახითი ხელოვნების გალერეა	0	
36	ცენტრის თეატრალური დასის მონაწილეობით სპექტაკლი ,,HELADOS-გაკვეთილი''	23/24 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	0	
37	26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება	24 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი თეკლათის ადმინიტრაციული ერთეულის ბიბლიოთეკა	0	

38	ღია გაკვეთილი თემაზე: ,,საქართველო უპირველეს ყოვლისა''	25 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	0	
39	დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	26 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დ. ჯაიანის სახელობის დარბაზი	280 ლარი	
40	დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა	26 მაისი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	0	
41	1 ივნისი ბავშთა დაცვის საერთაშორისო დღე	1 ივნისი	სენაკის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორია	3160 ლარი	
42	ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო, შემეცნებითი და გასართობი აქტივობები	2 ივნისი	სენაკის მუნიციპალიტეტი ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის კლუბი	0	
43	ინტელექტუალური თამაში ,,რა? სად? როდის?''	9 ივნისი	სენაკის მუნიციპალიტეტი სპორტ-სკოლის დარბაზი	5565 ლარი	

44	ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,კოლხის'' მონაწილეობა ყოველწლიურ ფესტივალზე ,,ცეკვის ფესტივალი თელავში''	11 ივნისი	თელავის მუნიციპალიტეტი	2500 ლარი	
45	ცენტრის თეატრალური დასის მონაწილეობით სპექტაკლი ,,HELADOS-გაკვეთილი''	14/15 ივნისი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დ.ჯაიანის სახელობის დარბაზი	0	
46	ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,კოლხის'' მონაწილეობა ბავშვთა ფოლკლორულ ფესტივალზე ,,არტ-მარტვილი 2023''	18 ივნისი	მარტვილის მუნიციპალიტეტი	0	
47	ანსამბლ ,,ეგრისის'' კონცერტი	4 ივლისი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დ.ჯაიანის სახელობის დარბაზი	0	
48	ანსამბლ ,,კოლხის'' მონაწილეობა კოლხურ-ლაზური სიმღერებისა და ცეკვების ფოლკლორულ ფესტივალ-კონკურსზე	9 ივლისი	ფოთის მუნიციპალიტეტი	340 ლარი	
49	ცენტრის თეატრალური დასის მონაწილეობა ნოდარ დუმბაძის IV საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე	12 ივლისი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სასახლე	300 ლარი	

50	ანსამბლი ,,მუსიკელის'' მონაწილეობა პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის მე-3 საერთაშორისო ფესტივალ ,,კოლხიდაზე''	14 ივლისი	ანაკლია	170	
51	ანსამბლი ,,კოლხური ტრიოს'' მონაწილეობა პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის მე-3 საერთაშორისო ფესტივალზე ,,კოლხიდა''	16 ივლისი	რუხი	225 ლარი	
52	ანსამბლი ,,მუსიკელის'' მონაწილეობა ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო მე-20 საიუბილეო ფესტივალზე ,,არტგენი''	20 ივლისი	თბილისი	450 ლარი	
53	ჯგუფი ,,ეგარის'' კონცერტი	20 ივლისი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დ.ჯაიანის სახელობის დარბაზი	0	

54	ცენტრის ტურისტული კლუბის გასვლითი აქტივობა	25 ივლისი	სენაკის მუნიციპალიტეტი პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ ნაკრძალი	0	
55	ანსამბლი ,,კოლხური ტრიო'' ნინო რეხვიაშვილის წიგნის ,,სამყაროს სამკაულის'' მე-7 ტომის წარდგენაზე	27 ივლისი	თბილისი	300 ლარი	
56	15 წელი აგვისტოს ომიდან	8 აგვისტო	სენაკის მუნიციპალიტეტი	50 ლარი	
57	სპექტაკლი ,,ემიგრანტების'' პრემიერა	30 აგვისტო	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დ.ჯაიანის სახელობის დარბაზი	0	
58	ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება	18 სექტემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორია	11051 ლარი	
59	30 წელი სოხუმის დაცემიდან...	27 სექტემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი	140 ლარი	

60	ანსამბლ ,,მუსიკელის'' მონაწილეობა თბილისობის დღესასწაულზე	1 ოქტომბერი	თბილისობა	350 ლარი	
61	ანსამბლ ,,მუსიკელი'',,ქართულ-ტრადიციული მუსიკის საღამო	11 ოქტომბერი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დ.ჯაიანის სახელობის დარბაზი	45 ლარი	
62	ტურისტული კლუბი ლაშქრობა ეკის ციხეში	16 ოქტომბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი ეკის ადმინისტრაციული ერთეული	168 ლარი	
63	ანსამბლი ,,კოლხური ტრიო'' ი.ლოლუას დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოზე	17 ოქტომბერი	ფოთის მუნიციპალიტეტი	130 ლარი	
64	ანსამბლი ,,კოლხური ტრიო''- პოეტის, მიმოზა ცანავას საიუბილეო შემოქმედებით საღამოზე მონაწილეობა	19 ოქტომბერი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე	130 ლარი	
65	ნ.დუმბაძის 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო	26 ოქტომბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი საჯარო ბიბლიოთეკა	0	
66	ეკოკლუბი ,,მწვანე ერთობა''-კლიმატის ცვლილებების კვირეული	27 ოქტომბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი	100 ლარი	
67	შეხვედრა ანსამბლ ,,კოლხური ტრიოს'' წევრებთან	31 ოქომბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი ჟიული შარტავას სახელობის	0	

			მხარეთმცოდნეობის მუზეუმი		
68	სახალხო დღესასწაული ,,ეგრისობა''	12 ნოემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალი	10897	
69	ეკოკლუბი ,,მწვანე ერთობა''- სემინარი თემაზე: ,,ენერგოეფექტურობა''	15 ნოემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი სახვითი ხელოვნების გალერეა	0	
70	ანსამბლ ,,მუსიკელის'' საგასტროლო ტურნე ბალტიისპირეთის ქვეყნებში	28 ნოემბერი	ბალტიისპირეთის ქვეყნები	4947 ლარი	
71	ანსამბლი ,,ოქროს ნოტები'' კონკრუს ფესტივალზე TV-100 ის ვარსკვლავის ფინალურ ეტაპზე	28 ნოემბერი	ბათუმის შ.რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზი	350 ლარი	
72	შეზღუდული შესაძლებლობიოს მქონე პირთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა ბავშვთა დღის ცენტრ ,,ლაზარე''-2015 ში	4 დეკემბერი	დღის ცენტრი ,,ლაზარე''-2015	270 ლარი	
73	ეკო-კლუბ ,,მწვანე ერთობის '' მიერ პესტიციდებთან ბრძლის საერთაშორისო დღის აღნიშვნა	4 დეკემბერი	სენაკის N1 ბაგა ბაღი	0	

74	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახალხო თეატრი ,,მოდი ნახე'' სპექტაკლით ,,მე ვხედავ მზეს''	6 დეკემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი დ.ჯაიანის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	0	
75	ეკო- კლუბი ,,მწვანე ერთობის'' წევრები შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სენაკის ცენტრში ნიადაგის დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით	6 დეკემბერი	შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სენაკის ცენტრი	0	
76	ლ.გუდიაშვილის ნახატის ,,ზეიმი ქართლში'' დაბრუნება სამხატვრო გალერეაში 30 წლის შემდეგ და მხატვრის საერთაშორისო დღის აღნიშვნა.	8 დეკემბერი	სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეა	1952,50 ლარი	
77	ტურისტული კლუბის მწვანე მოლაშქრეების წევრების გასვლითი აქტივობა აჭარაში	11 დეკემბერი	აჭარა	590.50 ლარი	
78	ქორეოგრაფიული წრის შემაჯამებელი ღია გაკვეთილი	13 დეკემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დ.ჯაიანის სახელობის დარბაზი	0	

79	ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების აღნიშვნა	15 დეკემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი	800 ლარი	
80	თოჯინების თეატრი სპექტაკლებით: ,,მგელმა მგლობა მოიშალა'' და ,,მანანა''	23 დეკემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დ.ჯაიანის სახელობის დარბაზი	0	
81	,,დახმარებისა და ინტეგრირების ლიგას'' ტრადიციული საქველმოქმედო აქცია-კონცერტი	23 დეკემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დ.ჯაიანის სახელობის დარბაზი	0	
82	საახალწლო კონცერტი	25 დეკემბერი	ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის კლუბი	0	
83	საესტრადო სიმღერების შემსწავლელი სექციის ,,ოქროს ნოტების''საახალწლო კონცერტი	25 დეკემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დ.ჯაიანის სახელობის დარბაზი	8693,95ლარი	თანხა შეადგენს საახალწლო კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების ჯამ

84	ახალი წლის კვირეულის ფარგლებში ფოლკლორის საღამო ანსამბლების: ,ეგრისი, მუსიკელი და კოლხური ტრიოს მონაწილეობით	26 დეკემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დ.ჯაიანის სახელობის დარბაზი		
85	ეკო-კლუბ ,,მწვანე ერთობის'' წევრების მიერ ახალი წლის ღონისძიებების ფარგლებში შექმნილი ეკო ნააძვის ხის პრეზენტაცია	27 დეკემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დ.ჯაიანის სახელობის დარბაზი	0	
86	მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი ჯგუფებისა და ანსამბლების მონაწილეობით შემაჯამებელი საახალწლო შოუ კონცერტი	28 დეკემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დ.ჯაიანის სახელობის დარბაზი	1000 ლარი	
87	მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობა დევნილთა დასახლებაში გამართულ	30 დეკემბერი	დევნილთა დასახლება		

	საახალწლო კონცერტზე				
88	საესტრადო სიმღერების შემსწავლელი სექციის ,,ოქროს ნოტების'' მონაწილეობა მუნიციპალიტეტში გამართულ საახალწლო კონცერტზე	31 დეკემბერი	სენაკის მუნიციპალიტეტი		

საერთო ჯამი: 64437,05 ლარი

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორის მ/შემსრულებელი /ნ.ეჯიბია/

დანართი: 2

ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა კულტურის ცენტრის" 2023 წელის **12** თვეში გაწეული ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიში.

2023 წლის **12** თვის ჯამური გეგმა შეადგენდა 918902.81 ლარს, ფაქტიურად ჯამურმა ხარჯმა შეადგინა 911696.62 ლარი.

სუბსიდიის ნაწილში გეგმით **უნდა გახარჯულიყო** 844806 ლარი, ფაქტიურად **გაიხარჯა** 841986.31 ლარი.

შრომის ანაზღაურება სუბსიდიის ნაწილში გეგმით იყო 632014.95 ლარი, ფაქტიურა გაიხარჯა **632014.95 ლარი**
ლარი.

შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო გეგმით იყო 31880 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 31829 ლარი.

მივლინების ხარჯი გეგმით იყო 2020 ლარი, ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 1100 ლარი.

ოფისის ხარჯი გეგმით იყო 60 844.82 ლარი, ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 57 310.99 ლარი.

ტრანსპორტის მოვლა შენახვის ხარჯმა გეგმით შეადგინა 7421 ლარი, ფაქტიურმა კი 7420.54 ლარი.

უნიფორმის შეძენის ხარჯი გემით იყო 9000 ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 8998.5

სოციალური დახმარება ფულადი ფორმით გეგმით იყო 7280.32 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 7279.87

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება სუბსიდიის ნაწილში გეგმით იყო 91086 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 91085.7 ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა გეგმით **12** თვეში იყო **გეგმით** 46594 ლარი, ფაქტიური ხარჯი შეადგენს 46403 ლარს.

2023 წლის **12** თვეში საკუთარი შემოსავლების გეგმა შეადგენდა 27502.81 ლარს, ფაქტიურად ხარჯმა შეადგინა 23307.31 ლარი.

შრომის ანაზღაურება საკუთარი შემოსავლებიდან გეგმით იყო 6540.35 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 6508.55 ლარი.

საქონელი და მომსახურება გეგმით იყო 17042.46 ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 12878.76 ლარი.

არაფინანსური აქტივის ზრდა გეგმით 3920, ფაქტიურად 3920 ლარი.

ნაშთი 2024 წ ლის 1 იანვრისათვის 3302.81.

სენაკის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობისა
და კულტურის ცენტრის დირექტორის მ/შ: ნ.ეჯიბია
მთ. ბუღალტერი: მ.ბაღათურია